# პოლონეთის თვითმმართველობის ერთეულში საჯარო კონსულტაციის პროცესი




## შემთხვევის ანალიზი

ჩატარებული საჯარო კონსულტაციები Zoliborz-ის ოლქში ველოსიპედების გამო შექმნილი საცობების პრობლემის გადასაჭრელად, რაც განხორციელდა 2016 წლის 25 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით ვარშავის დედაქალაქის მონაწილეობით ბიუჯეტში შეტანილი საპროექტო განაცხადებიდან.

### 01 ინიცირება

Zoliborz-ის საოლქო ოფისის ინიციატივით ჩატარდა კონსულტაციები საველოსიპედო და საფეხმავლო ტრასების გადატვირთვის პრობლემის გადასაჭრელად Zoliborz-ის ოლქში (ვარშავა)

### 02 მომზადება

საგზაო და საკომუნიკაციო სამსახურთან თანამშრომლობით გაანალიზდა მოძრაობის ნაკადი და გაკეთდა პირველადი დასკვნები.

### 03 ინფორმირება

საოლქო ოფისმა დაადგინა საკომუნიკაციო არხები (ტრადიციული და ვირტუალური), მოსახლეობას აცნობა კონსულტაციების თარიღზე და ადგილობრივებს შეთავაზა შეხვედრის დრო და ადგილი.

### 04 კონსულტირება

მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო ორი საჯარო დისკუსიის ფარგლებში დაგეგმილ კონსულტაციებში და კონტრაქტორებთან ცალკე შეხვედრებში.

### 05 იდეათა შეგროვება

ერთად თავმოყრილ მოსაზრებებზე დაყრდნობით, კომენტარების 53% იქნა გათვალისწინებული, 18% ნაწილობრივ გათვალისწინებული და 29% უარყოფილი

### 06 ინფორმაციის გაზიარება მიღებულ გადაწყვეტილებაზე

კონსულტაციების დასრულებისთანავე ყველა მონაწილეს და დაინტერესებულ პირს დაეგზავნა კონსულტაციების შედეგის შეჯამება.

### განხორციელება

მოსახლეობის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით პროექტი განხორციელდა საჯარო შესყიდვის პროცედურების დაცვით შერჩეული კონტრაქტორის მიერ.

### 07 შეფასება

Zoliborz-ის საოლქო ოფისმა შეაფასა კონსულტაციების პროცესი - მიღწეულ იქნა, თუ არა დასახული მიზანი, რა მეთოდმა გაამართლა და რამ არა.


Ministry of Foreign Affairs Republic of Poland

Created as part of the project "Direction – an efficient state. Polish experiences of decentralisation and modernisation – lessons learnt for Armenia and Georgia" co-financed by the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland